

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			იანვარი 2025 (ვერსია 1)
პროცესი	სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტებში გამოსაყენებელი მილების მასალების ტიპები და შენახვა, ტრანსპორტირება.			




სათაური	პროექტებში გამოსაყენებელი მიწების მახასიათებლები, მათი ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური პირობები	კოდი	GWP-E&C-01
---------	---	------	------------

მიზანი

წინამდებარე სტანდარტების მიზანია დაადგინოს წყალმომარაგების და წყალარინების სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტებში გამოსაყენებელი მილების მახასიათებლები, მათი ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური პირობები.

ცვლილებები

ჩანაწერები	ფაილის მდებარეობა

ფაზა	პოზიცია	სახელი	ხელმოწერა
მომზადება	მშენებლობის და ინჟინერიის დირექტორი	Nañez Sanz Ivan	
რევიზია/გადახედვა	IMS დეპარტამენტის უფროსი	ნინო სულხანიშვილი	
დამტკიცება	GWP-ს გენერალური დირექტორი	José Miguel Santos Gonzalez	

პროცესი

	სტანდარტული საოპერაციო პროცედურა	გვერდი 2-6
---	---	------------

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			იანვარი 2025 (ვერსია 1)
პროცესი	სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტებში გამოსაყენებელი მიღების მასალების ტიპები და შენახვა, ტრანსპორტირება.			

სათაური	პროექტებში გამოსაყენებელი მიღების მახასიათებლები, მათი ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური პირობები	კოდი	GWP-E&C-01
---------	---	------	------------

პროცესი
<p>თავი I. შესავალი</p> <p><u>1.1. მიზანი</u></p> <p>წინამდებარე სტანდარტების მიზანია დაადგინოს მინიმალური ტექნიკური პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაგეგმილი წყალმომარაგების ან წყალარინების სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთების და განაშენიანების პროექტში გამოყენებული მიღები. ასევე ზოგადი კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული მათი საპროექტო, მონტაჟის, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს.</p> <p><u>1.2. გამოყენების სფერო</u></p> <p>აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება წყალმომარაგების და წყალარინების ყველა სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტზე, რომელსაც ახორციელებს GWP ან მესამე პირი.</p> <p>სტანდარტები არ ვრცელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების ახალი მიერთების სამუშაოებზე.</p> <p><u>1.3. ტერიტორიული ფარგლები</u></p> <p>აღნიშნული სტანდარტების ტერიტორიული ფარგლები მოიცავს GWP-ის საექსპლუატაციო არეალს.</p> <p><u>1.4. სავალდებულო შესაბამისობა</u></p> <p>წინამდებარე სტანდარტები სავალდებულო იქნება ყველა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისთვის, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს, რომლებიც მოიცავს წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების მონტაჟს.</p> <p><u>1.5. ნებადართული მასალები</u></p> <p>ამ ტექნიკური სტანდარტების გამოყენების ფარგლებში გამოსაყენებელი მასალების მინიმალური ხარისხის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და გარანტირებისთვის, ყველა მასალა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე და პროდუქტის სტანდარტებზე, რომლებიც ამ დოკუმენტშია მოცემული.</p>

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			იანვარი 2025 (ვერსია 1)
პროცესი	სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტებში გამოსაყენებელი მილების მასალების ტიპები და შენახვა, ტრანსპორტირება.			

სათაური	პროექტებში გამოსაყენებელი მილების მახასიათებლები, მათი ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური პირობები	კოდი	GWP-E&C-01
---------	---	------	------------

პროცესი																			
თავი II. ნებადართული მილები																			
<u>2.1. მთავარი მახასიათებლები</u>																			
ქვემოთ მოცემულია წყალმომარაგების და წყალარინების სარეაბილიტაციო და განაშენიანების ობიექტებზე გამოსაყენებელი მილსადენების მინიმალური მოთხოვნები:																			
1. წყალმომარაგება																			
<table><tr><th colspan="4">წყალმომარაგების მილები</th></tr><tr><th>მილის მასალა</th><th>სტანდარტი</th><th>დიამეტრი</th><th>გადაბმის ტიპი</th></tr><tr><td>HDPE მილი SDR11 PN16</td><td>EN 12201</td><td>DN=20-180 მმ</td><td>პირაპირა შედუღება</td></tr><tr><td>ფოლადის მილი ქარხნული შიდა და გარე იზოლაციით</td><td>EN 10224</td><td>DN≥200 მმ</td><td>შედუღება</td></tr></table>				წყალმომარაგების მილები				მილის მასალა	სტანდარტი	დიამეტრი	გადაბმის ტიპი	HDPE მილი SDR11 PN16	EN 12201	DN=20-180 მმ	პირაპირა შედუღება	ფოლადის მილი ქარხნული შიდა და გარე იზოლაციით	EN 10224	DN≥200 მმ	შედუღება
წყალმომარაგების მილები																			
მილის მასალა	სტანდარტი	დიამეტრი	გადაბმის ტიპი																
HDPE მილი SDR11 PN16	EN 12201	DN=20-180 მმ	პირაპირა შედუღება																
ფოლადის მილი ქარხნული შიდა და გარე იზოლაციით	EN 10224	DN≥200 მმ	შედუღება																
2. წყალარინება																			
ქუჩის წყალარინების კოლექტორის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლებ 300 მმ-ისა.																			
წყალარინების ახალი მიერთების მილის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლებ 100 მმ-ისა.																			

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			იანვარი 2025 (ვერსია 1)
პროცესი	სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტებში გამოსაყენებელი მილების მასალების ტიპები და შენახვა, ტრანსპორტირება.			

სათაური	პროექტებში გამოსაყენებელი მილების მახასიათებლები, მათი ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური პირობები	კოდი	GWP-E&C-01
---------	---	------	------------

პროცესი

წყალარინების თვითღენითი მილები

მილის მასალა	სტანდარტი	დიამეტრი	გადაბმის ტიპი
PVC-U გლუვი მილი, PN6	EN ISO 1452	DN=110-355მმ	მილდაბრა გადაბმა რეზინის შუასადებით
რკინა-ბეტონის მილი გარე ბიტუმის იზოლაციით	EN 1916	DN≥400მმ	მილდაბრა თავი, რეზინის ქარხნული შუასადებით

წყალარინების წნევიანი მილები

მილის მასალა	სტანდარტი	დიამეტრი	გადაბმის ტიპი
HDPE მილი SDR11 PN16	EN 12201	DN≥50 მმ	პირაპირა შედუღება
PVC-U გლუვი მილი, PN10	EN ISO 1452	DN=110-355მმ	მილდაბრა გადაბმა რეზინის შუასადებით
ფოლადის მილი ქარხნული შიდა და გარე იზოლაციით	EN 10224	DN≥50 მმ	შედუღება

2.2. ტრანსპორტირება, შენახვა და დამუშავება

მილსადენების ყველა კომპონენტის ტრანსპორტირების, შენახვისა და დამუშავების ოპერაციები უნდა განხორციელდეს ისე, რომ რომელიმე ამ ელემენტს არ ჰქონდეს დაზიანება ან ნაკაწრი. მილსადენები უნდა იყოს განთავსებული მიწაზე რათა თავიდან იქნას აცილებული მათი ჩამოვარდნა. მილების შემთხვევაში, თავიდან უნდა იყოს აცილებული მათი ქვებზე გადაგორება.

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			იანვარი 2025 (ვერსია 1)
პროცესი	სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტებში გამოსაყენებელი მილების მასალების ტიპები და შენახვა, ტრანსპორტირება.			

სათაური	პროექტებში გამოსაყენებელი მილების მახასიათებლები, მათი ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური პირობები	კოდი	GWP-E&C-01
---------	---	------	------------

პროცესი

2.3. ტრანსპორტირება

თუ ტრანსპორტირება მოიცავს სხვადასხვა დიამეტრის მილებს, საჭიროა მათი განთავსება ქვემოდან დიამეტრის კლების მიმართულებით. არ დაუშვათ მილებზე დამატებითი დატვირთვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათში ზედმეტი დეფორმაციები და უზრუნველყოფილი უნდა იქნას მილების უძრავობა, დაწყობა ისე, რომ ისინი არ მოხვდნენ ერთმანეთთან კონტაქტში, ამ მიზნით უზრუნველყოფენ ხის სამაგრებს ან ელასტიურ ელემენტებს; ამ ყველაფერს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოქნილი მილების შემთხვევაში.

მილები მილდაბრა და სადა ბოლოებით უნდა განთავსდეს ერთმანეთის თავზე, ბოლოების მონაცვლეობით, ისე, რომ მილდაბრა თავები არ იყოს კონტაქტში ქვედა მილებთან. ბეტონის მილების ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე არ უნდა დაიწყოს მილის გამაგრების პროცესის დასრულებამდე.

2.4. შენახვა

მილების დასაწყობება ადგილზე განხორციელდეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, დამაგრებული ხის სამაგრებით ან სხვა მოწყობილობებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ უძრავობას. დასაწყობების პერიოდში მილების ბოლოები დროებით დაიხშოს.

შენახვის დრო უნდა შეიზღუდოს მინიმუმამდე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური დაცვა შესაძლო გარეგანი დაზიანებისგან, განსაკუთრებით რეზინის შუასადები რგოლები და სარქველები, რომლებიც უნდა განთავსდეს დახურულ ადგილას და დაცული იყოს მზისგან და მაღალი ტემპერატურისგან. ბეტონის მილებში თავიდან უნდა იქნას აცილებული ზედმეტი გამოშრობა ან ძლიერი სიცივე.

PVC-U და PE მილები არ უნდა იყოს კონტაქტში საწვავთან და გამხსნელებთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი დაცვა მზისგან და მათმა ზედაპირმა არ უნდა მიაღწიოს 45 ან 50 °C-ზე მაღალ ტემპერატურას.

რეზინის შუასადებები უნდა განთავსდეს დახურულ შენობებში, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ზომები:

- შუასადები სუფთად შეინახება და გამოყენების მომენტამდე არ ექვემდებარება გამოტანას.
- შენახვის ტემპერატურა იქნება 10°C-დან 25°C-მდე.
- რეზინის რგოლები დაცული უნდა იყოს სინათლისგან, განსაკუთრებით მზის პირდაპირი ან სხვა

რეგიონი	Africa-Asia	ქვეყანა	საქართველო	დამტკიცების თარიღი
კომპანია	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი			იანვარი 2025 (ვერსია 1)
პროცესი	სარეაბილიტაციო, არარეგულირებადი ახალი მიერთებისა და განაშენიანების პროექტებში გამოსაყენებელი მიწების მასალების ტიპები და შენახვა, ტრანსპორტირება.			

სათაური	პროექტებში გამოსაყენებელი მიწების მახასიათებლები, მათი ტრანსპორტირების და შენახვის ტექნიკური პირობები	კოდი	GWP-E&C-01
---------	---	------	------------

პროცესი

ხელოვნური გამოსხივებისგან (მაღალი პროცენტული ულტრაიისფერი სხივებით).

- შუასაბედები დაცული უნდა იყოს ჰაერის ბრუნვისგან, შეფუთვისა და დახურულ ჭურჭელში შენახვისგან.
- შუასაბედები რეზინები უნდა შეინახოს დაჭიმვის, შეკუმშვის ან სხვა დეფორმაციის გარეშე.
- შუასაბედები არ უნდა იყოს კონტაქტში თხევად ან ნახევრად მყარ მასალებთან, განსაკუთრებით გამხსნელებთან, ზეთებთან და ცხიმებთან, ან ლითონებთან.

2.5. მანიპულაცია

ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები უნდა განხორციელდეს ისე, რომ სხვადასხვა ელემენტები არ შეეჯახოს ერთმანეთს და მიწას. გადმოტვირთვა უნდა შესრულდეს საბოლოო დასაწყობების ადგილთან მაქსიმალურად ახლოს.

ზოგადად, მიწების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები უნდა განხორციელდეს მექანიკური აღჭურვილობის გამოყენებით, თუმცა მცირე დიამეტრისთვის შესაძლებელია ხელით ჩამოტვირთვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოწყობილობები, რომლებიც შედგება შიშველი კაბელებისგან ან ჯაჭვებისგან, რომლებიც კონტაქტშია მიწასთან, არ არის დასაშვები; ამის ნაცვლად, რეკომენდებულია ფართო ლენტის ან რეზინით დაფარული ზოლების გამოყენება. ლითონის კაბელების გამოყენებისას ისინი დაცული უნდა იყოს შესაბამისი საფარით.

მიწების მიწაზე დაგორება ან გათრევა დაუშვებელია, განსაკუთრებით თუ მიწებს აქვთ გარე საფარი. თუ მწარმოებელი იძლევა დაგორების ნებართვას, ის უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ მიზნით მომზადებულ ზედაპირებზე, რათა მიწის ზიანი არ მიაღწეს.